Super Finish | 02/2017

Knauf Super Finish

მზა საფითხნი ფინიშერი

აღწერა. გამოყენების სფერო.

Knauf Super Finish - მზა საფითხნი მასალა სპეციალური შემავსებლის, ვინილის შემკვრელის და მასალის გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი დანამატების ბაზაზე.
განკუთვნილია იდეალურად სწორი და გლუვი ზედაპირების შექმნისთვის ფართების შიგნით.
Knauf Super Finish გამოიყენება შემდეგისთვის:
თხელი საბოლოო ფენის დატანისთვის მინერალურ საფუძველებზე: მყარ ბათქაშებზე (თაბაშირის, კირის, ცემენტ-კირის), ბეტონის ზედაპირებზე, თაბაშირის ბლოკებზე, შეღებილ ზედაპირებზე ან მინაბოჭკოვანი შპალერით გაკრულ ზედაპირებზე.
თაბაშირმუყაოს ფილების მოპირკეთებისთვის.
თაბაშირმუყაოს ფილების პირაპირების, რომლებიც წინასწარ შევსებულია მასალით Knauf Uniflott ან Knauf Fugenfüller, განმეორებითი შეფითხნისთვის.

ტექნიკური მახასიათებლები

- ნაწილაკების მაქსიმალური ზომა - 0.1 მმ.
- ფერი: კრემისფერი
- მშრალი მასალის ხარჯი
- ხარჯი დამოკიდებულია საფუძველის უსწორობაზე ~ 1,2 კგ/მ^2
- გამოყენების ტემპერატურა +5°C-დან +25°C-მდე
- ფენის გაშრობა ტემპერატურაზე 20°C და ჰაეროს ტენიანობისას 60 % ~ 24 საათი.
- დამუშავება გახეხვით: ზუმფარის ქაღალდით №180-240
- ფენის სისქე: 3 მმ-მდე
- შეფუთვა: 6, 14, 25 კგ.

ყველა წარმოდგენილი მონაცემი ძალაშია ტემპერატურისთვის +20°C და ფარდობითი ტენიანობისთვის 60%.

უპირატესობები

- გამოყენებისთვის მზა საფითხნი მასა
- მაღალი პლასტიურობა
- მარტივი და მოსახერხებელი გამოყენება
- სწრაფი გაშრობა
- დაბალი ჯდენა
- მარტივი გახეხვა
- სითეთრის მაღალი ხარისხი გაშრობის შემდეგ
- მაღალი შეჭიდება საფუძველთან
- მაღალი მდგრადობა ბზარების წარმოქმნისადმი
- იდეალურად სწორი ზედაპირის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც სრულად მზად იქნება შემდგომში დეკორატიული მასალებით მოპირკეთებისათვის.
- ეკონომიურობა
- ეკოლოგიურობა

Knauf Super Finish

მზა საფითხნი ფინიშერი

ზედაპირის მომზადება

Knauf – ფილები უნდა მყარად იყოს დამაგრებული მზიდ საფუძველზე (კარკასზე).
მინერალური საფუძვლები უნდა იყოს მშრალი, გაწმენდილი ჭუჭყისგან, მტვერისგან, ზეთებისგან, ცხიმისგან და არ უნდა ჰქონდეს განშრევებები. მნიშვნელოვანი უსწორობები ან დაზიანებები უნდა შეივსოს საფითხნით Knauf Fugenfüller ან Knauf Uniflott. ძლიერ შემწოვი ან არასტაბილური საფუძველი უნდა დაიგრუნტოს ღრმა შეღწევადობის მქონე გრუნტით Knauf Tiefengrund ან გრუნტით Knauf Basisgrund.

დატანა
მზა საფითხნი მასალა Knauf Super Finish მორევის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ სათლიდან. საჭიროების შემთხვევაში მასა შეიძლება გაზავებულ იქნას სუფთა ცივი წყლით, მცირე პორციებით, გაანგარიშებით არაუმეტეს 250 მლ. წყალი 20 ლ. მასალაზე, წყლის ყოველი დამატების შემდეგ საჭიროა მასალის საგულდაგულოდ მორევა.

რეკომენდაციები

გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა ინსტრუმენტები და ჭურჭელი.
შეფითხნისას ფართში ტემპერატურა და საფუძვლის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ +10°C. საფითხნის დატანა ხდება როგორც ხელით, ფითხის გამოყენებით, ასევე ლილვაკით ან მექანიზირებული საშუალებით, 2 მმ-მდე ფენის სახით. მომდევნო ფენის დატანა დასაშვებია მხოლოდ წინა ფენის გაშრობის შემდეგ.
მშრალი ზედაპირი იხეხება ზუმფარის ქაღალდით №180-240 არაუგვიანეს დატანიდან 3-4 დღის შემდეგ.
საფითხნის Knauf Super Finish გაშრობის შემდეგ ზედაპირი ხდება მაგარი და მყარი.
თხელ ფენად შეფითხნისას (~ 0,1 მმ) - გაშრობის დრო შეადგენს 3-4 საათს, ხოლო თუ ფენის სისქეა 2 მმ - გაშრობის დრო შეადგენს 24 საათს. გაშრობის დრო დამოკიდებულია ზედაპირის შემწოვ უნარზე, ფართში არსებულ ტემპერატურასა და ჰაერის ტენიანობაზე.

რეკომენდაციები
დაუშვებელია საფითხნის Knauf Super Finish შერევა სხვა მასალებთან.
შეფითხნის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფართში არის შესაბამისი ტემპერატურული და ტენიანობის რეჟიმი.
სამუშაოების დასრულებისთანავე ინსტრუმენტები ირეცხება წყლით.
მასალის თვალებში მოხვედრისას დაიბანეთ თვალები ჭარბი რაოდენობის წყლით და მიმართეთ ექიმს დახმარებისთვის.

შეფუთვა და შენახვა

საღებავის Knauf Fasadfarba Premium დაფასოება ხდება 5 და 10 ლიტრიან სათლებში.

გაუხსნელ და დაუზიანებელ შეფუთვაში შენახვის დასაშვები ვადა შეადგენს 24 თვეს წარმოების დღიდან. ინახება მშრალ ადგილზე ტემპერატურით არანაკლებ 5°C. მოარიდეთ პირდაპირი მზის სხივების და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებას, არ დაუშვათ გაყინვა.

ყურადღება!

ეს ტექნიკური ფურცელი განსაზღვრავს მასალის გამოყენების ზღვარს და სამუშაოების შესრულების რეკომენდირებულ მეთოდს, რაც არ ცვლის შემსრულებლის პროფესიულ მომზადებას. მითითებული რეკომენდაციების გარდა, მოსაპირკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და შრომის უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესაბამისად. მწარმოებელი იძლევა ნაკეთობის ხარისხის გარანტიას, რაც არ მოქმედებს მისი გამოყენების მეთოდზე და პირობებზე.

მასალის ხარჯი

1 m^2 ზედაპირზე, საფითხნის ფენის სისქისას 1 მმ.

მასალა	ზომის ერთეული	რაოდენობა
Knauf Super Finish: - პირაპირების განმეორებითი შეფითხვნისთვის 2 ან 3 ფენად (სიგრძის 1 მ-ზე)	კგ	0.125
- ზედაპირის მთლიანად შეფითხვნისთვის	კგ	1.2
Knauf Tiefengrund	კგ	0.1
Knauf Basisgrund	კგ	0.1

უსაფრთხოების ზომები
მასალის თვალებში მოხვედრისას დაიბანეთ თვალები ჭარბი რაოდენობის წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. მასალა შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

ტელ.: +995 32 224 25 02/03

www.knauf.ge

info@knauf.ge

კნაუფ გიპს თბილისი

თბილისი 0182, ქიზიყის ქ. 17

მწარმოებელი იტოვებს უფლებას შეიტანოს ტექნიკური ცვლილებები. მოცემული მომენტისთვის ძალაშია ფაქტიური გამოცემა. ჩვენი გარანტია ეხება მხოლოდ ჩვენი მასალების ხარისხს. გაზავების და ხარჯის მონაცემები მიეკუთვნება ექსპერიმენტულ კატეგორიას და ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს პირობების ცვლილების შემთხვევაში. ყველა უფლება დაცულია. შეცვლა, თავიდან გამოცემა, და ასევე ფოტომექანიკური ან ელექტრონული კვლავწარმოება, მათ შორის შემოკლებული სახით, საჭიროებს ფირმა Knauf Gips SRL-ს (ქ. ბელცი, შტეფან ჩელ მარეს ქუჩა 178) ნებართვას.

კნაუფის სისტემების კონსტრუქციული, სტრატეგიული და სამშენებლო - ფიზიკური თვისებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კნაუფის ფირმის მასალების გამოყენებისას ფირმა კნაუფის მიერ რეკომენდირებული პროდუქციით.